41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ტყიბულელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ტყიბულის მერობის კანდიდატისა და ტყიბულის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ტყიბულის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ტყიბული და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

ეკონომიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ტყიბულის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 6,9 მილიონი ლარი იყო, 2021 წელს – 14,6 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – თუ 2013 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 3,5 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 6,7 მლნ ლარს შეადგენს.

- ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 1 პროექტი** (1 084 500 ლარი, თანამონაწილეობა 600 000 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 25 ჰექტარზე განხორციელდა 41 პროექტი (922 699 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით**, 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 154 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 467 270 ლარი), რითაც ისარგებლა 244-მა ბენეფიციარმა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 6 კოოპერატივი (64 მეპაიე, კაპიტალი 156 550 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით,** 2013-2021 წლებში, 17-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 1 638 795 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 256 152 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** და დღემდე განხორციელდა 2 პროექტი (ჯამურად 102 100 ლარი, თანადაფინანსება 51 050 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** სახელმწიფოს დაფინანსებით, 2016-2020 წლებში დაკონტრაქტებულია 465 ჰექტარი. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია დაფინანსდა ჯამურად 1 456 974 ლარით. 2013 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიებები**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 1 109 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 5 010 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **2024 წლისთვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 2 075 ჰექტრამდე ზრდა.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარების და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ტყიბულის მუნიციპალიტეტში, დაფინანსდა 2 საწარმო (ჯამურად 380 000 ლარი, დასაქმებულია 27 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 434 841 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 682 840 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 50 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 25, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 25 პროექტი).

„მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტში “აწარმოე საქართველოს” მხარდაჭერით 434 841 ლარის მოცულობის გრანტი გაიცა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 682 840 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 50 პროექტი, მათ შორის არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 25, ხოლო ახალი „სტარტაპის“ მხარდაჭერისთვის 25 პროექტი.

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:

- **ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია,** ჯამურად 9 067 აბონენტი. მიმდინარე წელს **დაგეგმილია** სამუშაოები 8 სოფლის (დაბაძველი, ძუყნური, ლეღვა, ხრესილი, ქვედა ჭყეპი, ზედა ჭყეპი, ჯონია, ბუეთი) ტერიტორიაზე (685 აბონენტი). 2022 წელს იგეგმება სოფელ ცუცხვათის გაზიფიცირება (280 აბონენტი). 2013-2017 წლებში, **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 5131 აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად განხორციელდა 2014 წელს ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია, 2016 წლიდან კი ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევისა და დაგეგმვის პროექტი. **განხორციელდა შემდეგი პროექტები:** მუნიციპალიტეტის მიერ მომზადდა კურორტ ცხრაჯვარის განაშენიანების რეგულირების გეგმა; დასრულდა მოწამეთას მონასტერთან ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა; ცუცხვათის მღვიმესთან მისასვლელი გზის ორპირი-ცუცხვათის მშენებლობა, შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობით; ნაქერალას ქედზე ცხრაჯვარზე მისასვლელი გზის საპროექტო სამუშაოები; კეთილმოეწყო ტყიბულში არსებული მუზეუმი; ქ. ტყიბულში განახლდა საერთაშორისო სტანდარტების სპორტის სასახლე და რეაბილიტირდა საცურაო აუზი.

ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისების მიზნით, 2020-2021 წლებში დაგეგმილია: ტყიბულის წყალსაცავიდან ცუცხვათის, გელათის, საწირის, მუხურის, ცხრაჯვარის მიმართულებით საფეხმავლო/საცხენოსნო მარშრუტების მარკირება და მოწყობა; ცუცხვათის მღვიმის კეთილმოწყობა; ნაქერალას ქედზე (ცხრაჯვარი) მისასვლელი გზისა და ტურისტული კომპლექსის მოწყობა; ტყიბულის წყალსაცავზე და მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; კურორტ საწირეში, სპორტულ-ტურისტული ბაზის მოწყობა.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში, 2013-2019 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 35 ათასი კუბ.მ **მერქნული რესურსი**. ამ პერიოდში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტყის მასივებიდან მერქნული რესურსის გამოსატანად საჭირო ახალი გზის რამდენიმე მონაკვეთს, საერთო სიგრძით 13 კმ.

2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 1 714 კუბ.მ ხე-ტყე. 2019 წელს განხორციელდა ტყის აღდგენა-გაშენების სამუშაოები 23,4 ჰექტარზე. 2016 წლიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს კოლხური ბზის მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები 63 ჰექტარზე.

რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,** მათ მიერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლის, ასევე გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

2022-2023 წლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ტყიბულში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად, 19,4 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 1 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 ხიდს. 2013-2020 წლებში, **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 3,194 მლნ ლარი გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, ტყიბულის 15 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 1520 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, ტყიბულის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 11 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. ხელისუფლების გეგმით, 2021-2023 წლებში, დამატებით 12 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. **კერძოდ, ტყიბულში უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების შემდეგი პროექტები:**

- **ქ. ტყიბული, ამბროლაურის გზაზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში არსებული გარე ელმომარაგების ქსელის სიმძლავრის გაზრდა (68 900 ლარი);**
- **ქ. ტყიბულის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციისა და სერვისცენტრის შენობის მოწყობის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოები (8 637 847 ლარი და 8 773 997 ლარი);**
- **ქ. ტყიბულის წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობის საპროექტო/სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა (4 081 117 ლარი).**

ტყიბულში, ცენტრალური საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

2021-2022 წლებისთვის, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. მოწამეთა – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 156 771 ლ;
- ნაბოსლევი (ქათამაძეები) – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 119 748 ლ;
- სოფ. გელათი – მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 96 083 ლ;
- ქ. ტყიბული – კორპუსების გარეფასადების რეაბილიტაცია – 962 807 ლ;
- სოფ. ცუცხვათი – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 72 210 ლ;
- სოფ. წყნორი (ფოჩხისული) – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 115 248 ლ;
- სოფ. კითხიჯი – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 144 541 ლ;
- ქ. ტყიბული – კორპუსების შიდაეზოების რეაბილიტაცია – 146 998 ლ;
- ქ. ტყიბული – საცხოვ. კორპუსის შიდაეზოების რეაბილიტაცია – 589 086 ლ;
- სოფ. საწირე (ცირეკიძეები-გაგრძ.) – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 275 538 ლ;
- სოფ. ოჯოლაში – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 220 000 ლ;
- სოფ. ქვედა ბუეთი – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 228 496 ლ;
- სოფ. მანდოკორი – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 200 000 ლ;
- სოფ. კურსები (შუა აბესაძეები) – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 120 980 ლ;
- სოფ. ძმუისი (ცენტრამდე) – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 201 000 ლ;
- სოფ. წყნორი (ბაგინეთი) – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 116 996 ლ;
- სოფ. ცუცხვათი-ძუყნური – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 157 509 ლ;
- სოფ მუხურა (საკვირაო უბნის გაგრძ.) – შიდა გზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 316 789 ლ;
- სოფ. მუხურა (ტელმანის უბ.) – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 210 000 ლ;
- სოფ. მუხურა (კირკიტაძეები II) – შიდაგზის ბეტონის საფარით რეაბილიტაცია – 77 536 ლ;
- ქ. ტყიბული, გელათის ქ. №22, საცხოვრ. სახლის შიდაეზოს რეაბილიტაცია – 25 007 ლ;
- ქ. ტყიბული – გელათის ქ. №24, საცხოვრ. სახლის შიდაეზოს რეაბილიტაცია – 30 206 ლ;
- ქ. ტყიბული – საცხოვრებელი კორპუსების სახურავების შეკეთება – 55 288 ლ;
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.**

დავით ჩერქეზიშვილი: „ტყიბულში ჩემთვის საამაყო ხალხი ცხოვრობს. მათ შესანიშნავად იციან, ვის უნდა ანდონ საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარება და მომავალი!“

იშვიათად შეხვდებით ადამიანს, ვისი დახასიათებისას ასე თამამად გამოიყენებთ ეპითეტს – მრავალმხრივ განვითარებული. პროფესიით მენეჯმენტის სპეციალისტმა, წლების განმავლობაში, საკუთარი თავი და შესაძლებლობები სამ, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროში გამოსცადა – მედიცინა, განათლება და ენერგოსექტორი, თუმცა მისი საქმიანობა სამივე სფეროში მენეჯმენტის მიმართულებას მოიცავდა და საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. მოგვიანებით, კოლეგებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად დააარსა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, რომელიც დღეს 1500-მდე სტუდენტს აძლევს ხარისხიან განათლებას.

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, სამართლის მაგისტრი, უნივერსიტეტის რექტორი, ვარშავის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმის (GILISC) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, არაერთი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიის ავტორი და არაერთი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე... დავით ჩერქეზიშვილის რეგალიების ამ არასრულ ჩამონათვალს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, დაემატება ახალი – ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი.

ტყიბული მისი დედულეთია, სადაც ბავშვობა გაატარა და მუნიციპალიტეტთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია. როცა ვკითხე, უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დატოვება და ტყიბულის მერობა რატომ გადაწყვიტეთ-მეთქი, მიპასუხა: „ხშირად არ დგება ადამიანის ცხოვრებაში მომენტი, როდესაც ეძლევა შესაძლებლობა, პირადად იზრუნოს მშობლიურ ქალაქზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში. როდესაც დადგა ასეთი მომენტი, მიუხედავად იმისა, რომ იმჟამად აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორის პოზიციაზე ვსაქმიანობდი, რთული აღმოჩნდა უარის თქმა ტყიბულის მუნიციპალიტეტში საქმიანობის გაგრძელებაზე“.

2013 წლიდან არის აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU) რექტორი და დამფუძნებელი/პარტნიორი. 2021 წლიდან გახლავთ საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული ქსელის კონსორციუმის (GILISC) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

აქვს მენეჯმენტის სფეროში საქმიანობის მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება, მათ შორის განათლების ადმინისტრირების მიმართულებით. სხვადასხვა წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დეპარტამენტის უფროსი; რესპუბლიკური საავადმყოფოს გენერალური დირექტორის მოადგილე; რეფერალური საავადმყოფოს დირექტორი; ენერგეტიკის სექტორში სხვადასხვა რაიონული ცენტრის მენეჯერი; სს „Park Place" პროექტების მენეჯერი.

ფლობს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორისა და სამართლის მაგისტრის აკადემიურ ხარისხებს.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

– ტყიბული ჩემი დედულეთია. დედა, რუსუდან ლიკლიკაძე სტუდენტი იყო, როცა დავიბადე და თვეების ვიყავი, როცა ტყიბულში ბებია-ბაბუასთან ჩამიყვანა. ვანიჩკა და მარო ლიკლიკაძეებს ტყიბულში ყველა იცნობდა, ამ ქალაქში მათ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. ქალაქის დაარსებიდანვე ისინი აქ ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ. უყვარდათ ტყიბული, უყვარდათ ტყიბულელებს და ძალიან ვამაყობ, ასეთი ადამიანების მომავალ თაობას რომ წარმოვადგენ. ტყიბულში გატარებული წლები ძალიან ტკბილად მახსენდება, აქ ყოველთვის მაღალი შეგნების, დიდი ბუნებისა და მაღალი კულტურის ადამიანები ცხოვრობდნენ. ისინი აშენებდნენ ურთიერთობების მაღალი კულტურის მნიშვნელოვან ტრადიციას და შესაბამისად, ქმნიდნენ ტყიბულის ჭეშმარიტ სახეს. გადაჭარბების გარეშე ვამბობ, ტყიბული რეალურად იყო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი. წარმოუდგენელია აქ, თუნდაც ერთხელ ნამყოფი ადამიანი ტყიბულის მიმართ სიმპათიით არ განმსჭვალულიყო. ყოველთვის ვგრძნობდი, ის კულტურა, რომელსაც ბავშვობიდან ვეზიარე, უდიდესი მნიშვნელობის იყო ჩემი ცხოვრების ყველა ეტაპზე – ნებისმიერი საქმიანობისას, საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ.

– ტყიბულთან არც ფიზიკური და არც ემოციური კავშირი არასდროს გაგიწყვეტიათ?

– რასაკვირველია... ყოველ არდადეგებზე აქ ჩამოვდიოდი. კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ზამთრის თუ საზაფხულო არდადეგების დროს „წესებს ვარღვევდი“ – არდადეგებამდე 2 კვირით ადრე მოვდიოდი ტყიბულში და სწავლის დაწყებიდან 2 კვირის მერე ვბრუნდებოდი თბილისში. ამ დროს ბებია-ბაბუაც განსაკუთრებით ბედნიერები იყვნენ. დღეს ამ სახლში დედაჩემის ძმა ცხოვრობს, თავისი ოჯახით. ბიძა, გოჩა ლიკლიკაძე ტყიბულში ჩვენს საოჯახო ბიზნესს უძღვება. არაჩვეულებრივი ოჯახი და შვილები ჰყავს. მარიამი და ალექსანდრე ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდები არიან. მარიამი თსუ-ს კურსდამთავრებულია, მან შარშან მაგისტრატურის საფეხურიც წითელ დიპლომზე დაასრულა სოციოლოგიის სპეციალობით, ხოლო ალექსანდრე საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის სტუდენტია აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში. მათით ვამაყობ და იმედი მაქვს, მომავალში, საკუთარი თავის რეალიზებას მაღალ დონეზე მოახერხებენ. სხვათა შორის, ბიძაჩემი სულ რაღაც 9 წლით არის ჩემზე უფროსი და დღეს მისი მეგობრები ჩემი მეგობრებიც არიან. აღსანიშნავია, რომ ჩემი პირველი სამეგობრო ტყიბულში შევიძინე. გარდა ამისა, მყავს 2 ძმა – თემური და ბაბუის მოსახელე, ივანე. მოგეხსენებათ, გარკვეული პერიოდის მერე, ასაკობრივი ზღვარი იშლება და უკვე დიდი ხანია, ბუნებრივად მოხდა ისე, რომ სამივე ძმის სამეგობროც გაერთიანდა. ტყიბულში დაწყებული მეგობრობა კი, არასდროს შეწყვეტილა, არც მაშინ, როცა თბილისში ვსწავლობდი.

– დედას, რომელიც პედიატრია, არ უნდოდა, რომ სამედიცინო განათლება მიგეღოთ და ექიმი გამოსულიყავით?

– დიახ, დედას უნდოდა, რომ ექიმის პროფესიას დავუფლებოდი, მაგრამ გული საითაც მიგიწევს, იქით უნდა აიღო გეზი და ამ თავისუფალ არჩევანში მისი მხარდაჭერაც მქონდა. სკოლაში კარგი მოსწავლე ვიყავი, თუმცა არ მიყვარდა ქიმია. დრო რომ გავიდა, მივხვდი, რომ ამის მიზეზი პედაგოგის შეცვლა იყო. ქიმიის პირველი მასწავლებელი იმდენად მიყვარდა, მის წასვლას ვერ შევეგუე და ამ საგანზე გული ამიცრუვდა. ჰუმანიტარული საგნები მაინტერესებდა ძალიან. უმაღლეს სასწავლებელში 1993 წელს ჩავაბარე და შეიძლება ითქვას, სწავლა დღემდე არ შემიწყვეტია. 33 წლის ასაკში ჩავაბარე დოქტორანტურაში, 36 წლის ასაკში კი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დავიცავი დისერტაცია ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით და მას შემდეგ განვაგრძე კვლევითი საქმიანობაც. ჩემი პირველი სტუდენტობის დროს თბილისში მძიმე კრიმინოგენური და სოციალური ვითარება იყო. არ იყო ელექტროენერგია, საწვავი... სანთლის შუქზე გვიხდებოდა სწავლა. რასაკვირველია, ვცდილობდით გვესწავლა და გვეცხოვრა უსაფრთხოდ. 23 წლისამ ასოციაცია „დიდოსტატის მარჯვენაში“ დავიწყე მუშაობა ეკონომისტად. პარალელურად აქტიურად ვიყავი ჩართული საოჯახო ბიზნესსაქმიანობაში.

– თქვენ ოჯახს რა ბიზნესი ჰქონდა?

– ბებია და ბაბუა კვების ობიექტებს ხელმძღვანელობდნენ ტყიბულში და მოგვიანებით, ბებიამ თბილისშიც გახსნა. ჰქონდა ასევე პურ-ფუნთუშეულის, გამაგრილებელი სასმელის საამქროები. მამა, ომარ ჩერქეზიშვილი, რომელიც პროფესიით ინჟინერია, ბოლო წლების განმავლობაში კერძო სექტორში საქმიანობდა, მანამდე იყო პროფტექნიკუმის დირექტორი, სასწავლო ნაწილი; ელმავალშემკეთებელ ქარხანაში ერთ-ერთი სამსახურის უფროსი. საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი, კერძო ბიზნესი წამოიწყო. ჰქონდა საკუთარი კაფე-რესტორანი, ავეჯის საამქრო, ხეტყის ბიზნესი. თუმცა, მე უფრო ბებიის „მარჯვენა ხელი ვიყავი“ მისივე თხოვნით, ძირითადად მას უფრო ვეხმარებოდი.

– პარალელურად, როგორ მოახერხეთ, რომ ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროებში მუშაობდით?

– ეს იყო უმნიშვნელოვანესი გამოცდილება, ასეთი მნიშვნელობის სამ სფეროში საქმიანობა საკმაოდ მაღალი ცოდნის კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობაა. ენერგოსექტორსა თუ კერძო სექტორში, მედიცინასა თუ განათლებაში, ჩემს საქმიანობას მთავარი მიმართულება ჰქონდა – მენეჯმენტი.

– აღმოსავლეთის ევროპის უნივერსიტეტის დაფუძნების იდეა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის შემდეგ გაგიჩნდათ?

– დიახ, რადგან საუნივერსიტეტო საქმიანობის მნიშვნელოვანი გამოცდილება მქონდა, გადავწყვიტეთ, შეგვექმნა კერძო დაწესებულება, რომელიც მეტად მოქნილი იქნებოდა, სწრაფად განვითარების მეტ საშუალებას მისცემდა სტუდენტებსა და პერსონალსაც. ჩემს კოლეგებთან, პროფესორებთან ერთად დავაარსეთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ჯერ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე ვახორციელებდით სწავლებას, შემდეგ კი, დოქტორანტურის საფეხურიც დავიმატეთ და უნივერსიტეტის სტატუსიც მოვიპოვეთ – აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი. 2015 წლის შემდეგ ჩვენი უნივერსიტეტი კიდევ უფრო განვითარდა და ეს პროცესი უწყვეტად გრძელდება. დაინერგა 20 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის ინგლისურენოვანი და 2 სადოქტორო; ასევე, დავნერგეთ მართვის 6 ელექტრონული პლატფორმა, ვართ 20-მდე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და გვყავს 30-ზე მეტი საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი, გაიცემა ორმაგი დიპლომები და წარმოებს გაცვლითი პროგრამები, შეიქმნა მედიცინის ფაკულტეტიც. ამავე დროს, ჩვენთან შეიქმნა საქართველოში პირველი „ციფრული მენეჯმენტის“ სამაგისტრო პროგრამა და რამდენიმე წლის წინ, პირველად ჩვენ შევქმენით „ადამიანური რესურსების მართვის“ სამაგისტრო პროგრამა. უნივერსიტეტში 300-მდე უცხოელი და 1200-მდე ქართველი სტუდენტი სწავლობს. მნიშვნელოვანია, რომ შევიძინეთ უძრავი ქონება, მიწა, სადაც აშენდა თანამედროვე, ევროპული ტიპის კამპუსი, რომელიც მოიცავს 8300 კვ.მ ფართობის ეზოს, ასევე, ცალკე მდგომია კვლევითი ლაბორატორიის შენობა, სპორტული მოედანი, რეკრეაციული ზონა და ა.შ. მოკლედ რომ ითქვას, ახალი კამპუსი საუნივერსიტეტო საქმიანობისთვის საუკეთესო პირობებით, დიდი ბიბ-

ლიოთეკით, თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი და რაც მთავარია, სტუდენტს აქვს ხარისხიანი ცოდნის მიღების შესაძლებლობა.

– ამ ფონზე, საინტერესოა, ტყიბულის მერობა რატომ გადაწყვიტეთ და რატომ ხართ „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი?

– ხშირად არ დგება ადამიანის ცხოვრებაში მომენტი, როდესაც მას ეძლევა შესაძლებლობა, იზრუნოს მშობლიურ ქალაქზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში. როდესაც დადგა ასეთი მომენტი, მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის რექტორი ვიყავი, რთული აღმოჩნდა უარის თქმა ტყიბულის მუნიციპალიტეტში საქმიანობის გაგრძელებაზე.

სწორედ ის, რომ ვარ ტყიბულში გაზრდილი და მაქვს ტყიბულის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება, ხოლო დღეს ტყიბულს სწრაფად განვითარების რეალური შესაძლებლობა გააჩნია, ჩემი გადაწყვეტილება საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის ტყიბულის მუნიციპალიტეტის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის მიზანმა განაპირობა, ხოლო აღნიშნული შესაძლებლობა პარტიამ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ მომცა, რისთვისაც მადლიერი ვარ.

მმართველი გუნდის მიერ გაცხადებული მხარდაჭერა როგორც რეგიონების, ასევე ტყიბულის მიმართ, ჩვენი ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

– არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ხართ. მონოგრაფიაც გამოეცით. რა არის რეგიონული განვითარების მთავარი საფუძველი?

– რეგიონული განვითარება ხელისუფლებისთვის პრიორიტეტია და ამ მიმართულებით სწორ ნაბიჯებს დგამს. ვხედავ, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა რეგიონული ბიზნესის განვითარებაა და ეს სწორი გზაა. ხელისუფლების მხრიდან რეგიონებს მნიშვნელოვანი ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა აქვს. ამას მოწმობს არაერთი სახელმწიფო პროგრამა. დაგეგმილია არაერთი პროექტი, რომელთა რეალიზებისთვისაც საჭიროა ძლიერი მუნიციპალიტეტი, ეფექტიანი მართვა, სწორი მიმართულებით განვითარება, შედეგზე ორიენტირებული პროცესების დანერგვა და დროის ეფექტიანად გამოყენება. ვიცით, თუ როგორი მემკვიდრეობა გვაქვს, ვიცით ჩვენი მოსახლეობის სატკივარი, მაგრამ ამავე დროს, ზუსტად ვიცით, რომ გვაქვს მაღალი პოტენციალი, რომლის გამოყენება შესაძლებელია და აუცილებელიც.

– ტყიბულში თუ ხორციელდება სიკეთის მომტანი პროექტები და თქვენ რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?

– შეგვიძლია არაერთი შესრულებული პროექტი მოვიყვანოთ მაგალითად. გაყვანილია გზები, განათების ქსელი, შეკეთდა სახურავები და ა.შ. თუმცა ეს პროცესი, რასაკვირველია, გრძელდება, რადგან მძიმე მემკვიდრეობა გვაქვს. თუნდაც ავიღოთ წყლის სისტემის შექმნის სამუშაოები, რომლის მთავარი ნაწილი შესრულებულია. უწყლობა მრავალი წელია ტყიბულის ძალიან დიდი პრობლემაა. აღნიშნული პროექტის დასრულება მაღალი ხარისხით მოხდება და დარწმუნებული ვარ, უახლოესი პერიოდის შემდეგ, ტყიბულს ექნება უმაღლესი ხარისხის სასმელი წყალი. ერთი მხრივ, გასაკვირია, რომ თანამედროვე ეპოქაში ამ საკითხზე ვსაუბრობთ, მაგრამ ფაქტია, ტყიბული სასმელი წყლით 40 წელია არ ყოფილა უზრუნველყოფილი. ტყიბულის მიმზიდველობის გაზრდასთან დაკავშირებით გვაქვს არაერთი იდეა, რომელთა განსახორციელებლად უცხოელი ინვესტორის დაინტერესება და ჩართულობაც იქნება საჭირო. გარკვეული სამუშაოები უკვე დავიწყეთ. ძირითადი ყოფითი, ინფრასტრუქტურული საკითხების მოგვარების კვალდაკვალ ისეთი მიმართულებების განვითარება, როგორიცაა კულტურა, განათლება, ტურიზმი, ჯანდაცვა ჩვენი საქმიანობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს და რაც ასევე მნიშნელოვანია, ამ მიმართულებებით განვითარება რეალური პერსპექტივაა. გავაგრძელებთ სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რადგან დაწყებულია და გაგრძელდება ცენტრალურ უბნებში შენობების ფასადისა და სახურავების მოპირკეთება, სტადიონებისა და სკვერების აშენებადა კეთილმოწყობა და ა.შ.

– ალბათ, განათლების ხელშეწყობა თქვენთვის განსაკუთრებით პრიორიტეტული იქნება?

– განათლების მიმართულებით აქტივობები უმნიშვნელოვანესია. ეს აქტივობები უკვე არა მარტო გააზრებული, არამედ დაგეგმილია. ტყიბულში მალე ვიხილავთ საერთაშორისო საზაფხულო სკოლებს, სადაც როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები ან კურსდამთავრებულები გაივლიან სასერტიფიკატო კურსებს, დაესწრებიან სემინარებსა და მასტერკლასებს, დაისვენებენ და დაათვალიერებენ ტყიბულის ღირსშესანიშნაობებს. მათთან ერთად იქნებიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მაღალი დონისა და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები აშშ-დან, გერმანიიდან, ბრიტანეთიდან და ევროპის სხვა წამყვანი ქვეყნებიდან. გარდა ამისა, მინდა, ხელი შევუწყოთ სკოლადამთავრებულებს ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებაში. განვახორციელებთ სხვადასხვა ტიპის რეგიონულ კონკურსებს, სოციალურ პროექტებსა და სხვა წამახალისებელ აქტივობებს. განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანია სპორტული მიმართულება და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა. ამისთვის ყველა უბანს უნდა ჰქონდეს ხელოვნურსაფარიანი მოედანი და სკვერი. ტყიბულში გვაქვს შესანიშნავი ახალი სპორტული კომპლექსი, თანამედროვე აღჭურვილობით. ასევე, ტყიბულს ჰყავს დიდი ტრადიციების მქონე საფეხბურთო გუნდი ტყიბულის „მეშახტე“, რომლის მხარდაჭერა და განვითარება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, ამავე დროს გვაქვს სხვადასხვა სპორტული დარგების უძველესი ტრადიციული სკოლები: კრივი, ჭიდაობა, უკვე სარაგბო სკოლა და ა.შ. შესაბამისად, დიდია პოტენციალი განვავითაროთ პროფესიული სპორტი. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონი ილია სულამანიძე ტყიბულის მკვიდრია, ის ჩვენი საამაყო ახალგაზრდაა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ძიუდოში ლაშა გუჯეჯიანიც ტყიბულის მკვიდრია. ტყიბულში ძალიან წარმატებული, მოტივირებული, აქტიური ადამიანები ცხოვრობენ და მათი პოტენციალი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. მათ მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი, რომ წვლილი შეიტანონ ტყიბულის განვითარებაში.

– ასევე ტურიზმი მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივაა?

– ტყიბულს ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ცხრაჯვარი ერთ-ერთი უნიკალური ტურისტული ადგილია მსოფლიოში, ამავე დროს არანაკლები მნიშვნელობისაა ძმუისი, ცუცხვათი, გელათი, მოწამეთა, საწირე, ახალსოფლის ტბა და სხვა, მათ შორის თავად ქალაქი ტყიბული, ასევე უნიკალური საბაგირო, რომელიც აკავშირებს ტყიბულს ცხრაჯვართან და ამჟამად საჭიროებს რეაბილიტაციას...

მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარებაც. ყველა სოფელს სჭირდება მხარდაჭერა და ჩემი ერთ-ერთი მთავარი მისია იქნება ადგილობრივებს მაქსიმალურად დავეხმაროთ სოფლის განვითრების პროგრამებით, დეტალური ინფორმაცია მივაწოდოთ მათ შესახებ, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ბიზნესისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება წარმოადგენს. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით, გაიზრდება სამუშაო ადგილები, შესაბამისად, მოსახლეობას გაეზრდება შემოსავალი, რაც აუცილებელი პირობაა მუნიციპალიტეტის სიძლიერისთვის.

– კერძო კომპანიასთან შუამდგომლობას თუ გაუწევთ მეშახტეებს, რომ მათი პირობები გაუმჯობესდეს?

– შპს „საქნახშირის“ სტაბილური მსხვილი ორგანიზაციაა. ხელმძღვანელობა უფრო და უფრო დიდ ყურადღებას აქცევს მეშახტეების სოციალურ და ფინანსურ მდგომარეობას, უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის საკითხებს, რაც მისასალმებელია. ასევე მისასალმებელია, რომ უსაფრთხოების კუთხით შახტებში დღეს გაცილებით უკეთესი სიტუაციაა. ჩვენი მხრიდან ხელშეწყობა შპს „საქნახშირს“, ჩვენს მეშახტეებს მაქსიმალურად ექნებათ.

– ისე საუბრობთ, ცხადია, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ.

– ტყიბულში არაჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობს, აფასებენ ყურადღებას, შრომისმოყვარეობას, ერთგულებას. ტყიბულელები ჩემთვის საამაყო ხალხია. შესაბამისად, მათ შესანიშნავად იციან, თუ ვის უნდა ანდონ საკუთარი მუნიციპალიტეტის განვითარება და მომავალი!

4 შვილის მამის ძლიერი მხარე

დავითი და თინათინი ერთ უბანში ცხოვრობდნენ და ერთ სკოლაში სწავლობდნენ. გაცნობა-დამეგობრებიდან დაახლოებით 2 წელიწადში გადაწყვიტეს დაქორწინება. მაშინ ბატონი დავითი სულ რაღაც 21 წლის იყო. თინათინ ჩერქეზიშვილმა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ამჟამად, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში მუშაობს.

შვილებზე საუბრისას ჯერ ტონი ეცვლება და ხმაში სითბო ეღვრება, შემდეგ კი ხუმრობის გუნებაზე დგება: „4 შვილი გვყავს: 2 დიდი და 2 პატარა“. „დიდებიდან“ უფროსმა, ბებიის მოსახელე რუსუდანმა, მაგისტრატურაში ჩააბარა განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების პროგრამაზე, ამავე დროს მუშაობს კიდეც. მომდევნო – ნიკოლოზი საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაზე სწავლობს და მესამე კურსის სტუდენტია. „პატარებიდან“ უფროსი, ანდრია, 14 წლისაა და სკოლის მოსწავლეა, ნაბოლარა გაბრიელი კი, 7 წლის გახლავთ და მეორე კლასში ახლახან გადავიდა.

ბიჭები სპორტით არიან დაინტერესებულები. განსაკუთრებით უყვართ ფეხბურთი, მოყვარულის დონეზე თამაშობენ და სამივე გულშემატკივრობს მესის. ყველაზე აქტიური მათგან ნაბოლარა გაბრიელია, რომელიც დაჟინებით ითხოვს, რომ პროფესიულ დონეზე შეისწავლოს ფეხბურთი. მშობლები ჯერჯერობით ამ სურვილს ვერ უსრულებენ, კოვიდპანდემიის რისკების გამო. სხვათა შორის, პანდემიამ ხელი იმასაც შეუწყო, რომ ბავშვებს „თანამედროვე მსოფლიო სენი“ შეჰყროდათ და ინტერნეტ სამყაროში გააქტიურებულიყვნენ. კანდიდატი ფიქრობს, რომ ეს დროებითია და მალე, შვილები სხვა ინტერესებს დაუთმობენ უფრო მეტ ყურადღებას. უხარია, რომ ამ ინტერესებს შორის, პირველ ადგილზე მაინც სწავლა დგას. რუსუდანი გაცვლითი პროგრამით პოლონეთში იყო, მაგისტრატურაში ჩაბარების შემდეგ კი, დიდი ალბათობით ავსტრიაში გააგრძელებს სწავლას. ნიკოლოზიც დაინტერესებულია, გაცვლით პროგრამაში მიიღოს მონაწილეობა და კოვიდპანდემიის სიტუაციის დასტაბილურებას ელოდება, სავარაუდოდ, ისიც პოლონეთს აირჩევს.

შვილების დახასიათება რომ ვთხოვე, არ გამოუყენებია ფრაზები: „ნიჭიერი, ჭკვიანი, გონიერი, ინტერესიანი“. არადა, ისინი ყველა ამ ეპითეტს ამართლებენ. მივხვდი, შვილების ზედმეტ ქებასაც აარიდა თავი და თანაც, ხაზი იმას გაუსვა, რაც მისთვის, როგორც ჩანს, ყველაზე მნიშვნელოვანია – ოთხივეს ერთმანეთი უზომოდ უყვარს!

რაც უნდა გადატვირთული გრაფიკი ჰქონდეს, შაბათ დღეს სპორტულ აქტივობას აუცილებლად გეგმავს. ცდილობს, დაიცვას სწორი კვების რეჟიმი. მიაჩნია, რომ ადამიანის ფიზიკური სიჯანსაღისა და განვითარებისთვის, სპორტსა და ჯანსაღ კვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სულიერი და გონებრივი განვითარებისთვის კი ბევრს კითხულობს, დაკავებულია კვლევითი საქმიანობით. ამბობს, რომ დროს ამისთვის აუცილებლად ყოველთვის გამონახავს.

კიდევ ბევრი „აუცილებელი საქმეა“, რომელსაც დღის განმავლობაში, მისი გამოცდილებიდან და საქმიანობიდან გამომდინარე უნდა მიხედოს. მალე ამ საქმეებს, ტყიბულის განვითარებასა და ტყიბულელებზე ზრუნვაც მიემატება. ყველაფრის შეთავსება არ გაუჭირდება – მთავარი დროის მენეჯმენტია. მენეჯმენტი კი, მისი ძლიერი მხარეა.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო.

2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ტყიბულის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი 29 236 909 ლარით დაფინანსდა 53 639 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (1 446 539,4 ლარით 72 248 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 312 313 ლარით 30 502 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (18 929 319 ლარით 14 210 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (4 143 903 ლარით 3 940 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 040 560 ლარით 1 733 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 269 885 ლარით 2 285 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, 2017-2021 წლებში (06.2021 წ. მდგომ.) **ტყიბულის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 2 678 ბენეფიციარი (156 930 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ტყიბულის მუნიციპალიტეტში** 92 %-დან 93.3 %-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ტყიბულში,** სტაციონარული მკურნალობით 91-მა (332 358 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 724-მა პაციენტმა (87 226 ლარი) ისარგებლა.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღებია 2 747 ორსული (149 942 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 575.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ტყიბულის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 728 პირი, დაიხარჯა – 156 744 ლარი. 2012 წლის შემდეგ, **ტყიბულის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ტყიბულში,** 2013-2021 წლებში, სულ 331 შემთხვევა 431 453 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ტყიბულის მუნიციპალიტეტს 23 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2019 წელს, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: ორპირი (22 103 ლარი), მუხური (32 288 ლარი), ცუცხვათი (14 695 ლარი), კურსები (10 209 ლარი) და გურნი (11 430 ლარი).

2013 წელთან შედარებით, გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 80,6 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 47,0 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტი, 2012 წლიდან დღემდე, ჯანდაცვის სფეროში ახორციელებს არაერთ პროგრამას/ქვეპროგრამას, მათ შორის: ინდივიდუალური დახმარება, სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება, შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა ფულადი დახმარება და სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება; ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსება; ონკო და ლეიკემიით დაავადებული მოქალაქეების დახმარების ქვეპროგრამა და სხვ.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტი განახორციელებს ქმედით ღონისძიებებს და პრევენციული ღონისძიებების გატარებით, ხელს შეუწყობს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ტყიბულის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04.2021 წ. მდგომ.) 5705 პირი. 2012 წლის შემდეგ 2-ჯერ – 7 755 828-დან 15 744 460 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში საპენსიო ანაზღაურებაზე სულ 103 475 971 ლარი დაიხარჯა. **სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ტყიბულის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 75 პირია. 2012 წლის შემდეგ, თითქმის 4-ჯერ - 113 498-დან 441 144 (2020 წ. მონაც.) ლარამდე გაიზარდა კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი და, 2013-2021 წლებში, სულ გაცემილია 3 013 290 ლარი. **მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. **ტყიბულის მუნიციპალიტეტში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი** 697 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2020 წელს, **საარსებო შემწეობებზე** გაცემულია 1 153 ათასი ლარი, სულ – 2013-2021 წლებში, დაიხარჯა 12 104 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 4 095 ათასი, შშმ პირებზე – 1 539 ათასი, ბავშვებზე – 3 436 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ტყიბულში,** სოციალური პაკეტით სარგებლობს 1072 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,2-ჯერ – 358 306-დან 1 867 661 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 12 752 356 ლარი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში 247 დევნილია (01/04.2021 წ. მდგომ). 2012 წლის შემდეგ, 95 946 ლარიდან 144 180 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-20121 წლებში სულ დაიხარჯა 1 207 618 ლარი.

დევნილებზე ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ტყიბულის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 55 ოჯახი, მათ შორის: 30 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 13 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 5 დევნილ ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით (მესამე და მომდევნო ბავშვი) **ტყიბულში,** დაფინანსებულია 77 ბენეფიციარი (1.04.2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 995 600 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 134 350 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ტყიბულის მუნიციპალიტეტზე – 1 278 000 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 718 ოჯახი, 2021 წელს (06.2021 წ. მდგომ) – 769. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 91-მა პირმა, 2021 წელს (06.2021 წ. მონაც.) – 103-მა პირმა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, 2020 წელს, ჩაერთო 269 პირი (06.2021 წ. მონაცემ.) – 267.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამით, დასაქმების სახელწიფო სააგენტო კომპენსაციებს გასცემს იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი -2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა **ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა,** ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციები გაიცა იმ პირებზე, **ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა** (121 634 პირზე ჯამში 36 490 200 ლარი). **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ).

ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით 2,2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 495,7 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 221,2 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტი, 2012 წლიდან დღემდე, სოციალური დაცვის სფეროში, ახორციელებს არაერთ პროგრამას/ქვეპროგრამას, მათ შორის: ინდივიდუალური დახმარება; ოჯახებისა და ბავშვების დახმარება; მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება, ომის მონაწილე ვეტერანთა და მათი ოჯახების დახმარება, უფასო სასადილო და სოციალური სამრეცხაო, კომუნალური გადასახადები, სასკოლო საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფა; 100 და მეტი წლის ხანდაზმულ პირთა დახმარებისა და შინმოვლის პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით; გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;
- გაგრძელდება ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა.
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე №2 საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საagენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საagენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ტყიბულში ფუნქციონირებს 17 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 6 – ქალაქში, ხოლო 11 – სოფლად.

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ტყიბულში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს, განათლების მიმართულებით, მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 348,3 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 1 მლნ 123,1 ათასი ლარი – სკოლამდელი განათლების მიმართულებით. 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი კი 466, 4 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში, ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩატარდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ბაგა-ბაღებში. მათ შორის: ტყიბულის №1, №2, №4, №5 და №6, ახალსოფლის, საწირის, ხრესილის, გელათის, ორპირის, ცუცხვათისა და ძმუისის საბავშვო ბაღების რეაბილიტაციას, სულ 85,1 ათასი ლარი მოხმარდა. **2017 წელს –** აშენდა ახალი, ქ. ტყიბულის №6 საბავშვო ბაღი, რაზეც 357 ათასი ლარი დაიხარჯა. განხორციელდა ქ. ტყიბულის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის სრული რეაბილიტაცია (743 ათასი ლარი). **2018 წელს** ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები მოეწყო სოფელ სოჩხეთში (106, 4 ათასი ლარი), გურნსა (67, 9 ათასი ლარი) და ჯვარისში (77,7 ათასი ლარი); ასევე, გარემონტდა სამზარეულო ბლოკი და სანიტარული კვანძები ახალსოფლის, საწირის, ხრესილის, ორპირის, კურსების, ცუცხვათის საბავშვო ბაგა-ბაღებში. **2019 წელს** განხორციელდა საწირის საბავშვო ბაგა-ბაღის რემონტი (100 ათასი ლარი). **2020 წელს** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და კეთილმოეწყო ქ. ტყიბულის №2 საბავშვო ბაღი (480 ათასი ლარი); განხორციელდა სოფელ გელათის საბავშვო ბაღის დემონტაჟი და ახალი შენობის მშენებლობა (400 ათასი ლარი); აშენდა და კეთილმოეწყო ტყიბულის №4 საბავშვო ბაღის ახალი შენობა (739,2 ათასი ლარი). **2021 წელს დასრულდება –** ქ. ტყიბულის №3 (593,9 ათასი ლარი) და №5 (500 ათასი ლარი) საბავშვო ბაგა-ბაღების სრული რეაბილიტაცია.

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წლისთვის საბავშვო ბაღებში მუნიციპალიტეტში მცხოვრები 585 **აღსაზრდელი** დადის. 2013 წლის შემდეგ, 0,55-დან 3,55 ლარამდე გაიზარდა საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა ბავშვთა **კვების რაციონი.** მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებს 16 ექიმი/ექთანი და 8 ფსიქოლოგი ემსახურება. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 17 სააღმზრდელო დაწესებულებაში, რომლებშიც ჩართულია სასკოლო ასაკის 192 ბავშვი. საბავშვო ბაღებში დასაქმებულია 60 აღმზრდელი, რომელთა ხელფასები, ბოლო წლებში, 410 ლარამდე გაიზარდა.

ᲖᲝ�გᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 24 საჯარო სკოლა, მათგან ქალაქში – 6, სოფლად – 18 (მათ შორის 3 – მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელში). სკოლებში 2305 მოსწავლე, 414 მასწავლებელია (მათ შორის, 20 – სპეციალური მასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია

60 სსსმ მოსწავლე. 2 საჯარო სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებას 4 მანდატური იცავს. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 3 საჯარო სკოლაში (3 ექიმი).

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის: სახელმწიფო პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** 2013-2021 წლებში, **საზაფხულო სკოლებში** 207 მოსწავლე მონაწილეობდა (მათ შორის, 2017-2019 წლებში **–** 175). **სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით,** 32 სასკოლო პროექტი დაფინანსდა. **საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის** პროგრამით, 2017 წელს, სოფ. მუხურის საჯარო სკოლას, 10 კომპიუტერი გადაეცა, 2019 წელს – ორპირის საჯარო სკოლამ – 10, ქ. ტყიბულის №6 სკოლამ – 15, ქ. ტყიბულის №7 სკოლამ – 10 კომპიუტერი მიიღო საჩუქრად. 2013-2019 წლებში, პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** პირველკლასელებს საჩუქრად 1370 კომპიუტერი გადაეცათ, კლასის დამრიგებლებს – 122, წარჩინებულ მოსწავლეებს – 143 (მათ შორის, 2017-2019 წლებში – 626 პირველკლასელი და 54 კლასის დამრიგებელი დასაჩუქრდა). 2017-2019 წლებში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს 761 **სასკოლო ჟურნალი** და 51 470 სასკოლო **სახლმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცა. ამავე წელს **წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამით** პორტაბელური კომპიუტერით დასაჩუქრდა 90 წარჩინებული მოსწავლე. 2013-2019 წლებში, ტყიბულში, **138 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა (მათ შორის: 2018-2019 წლებში – 31 ოქროსა და 13 ვერცხლის მედალოსანი; 2019-2020 ს/წ – 26 ოქროსა და 5 ვერცხლის მედალოსანი და 2020-2021 ს/წ – 12 ოქროსა და 9 ვერცხლის მედალოსანი).

2020 წელს, ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ინსტრუმენტები, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშემწყობი შეფასებისა და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ინტეგრირების სისტემები („ახალი სკოლის მოდელი“), **ტყიბულის მუნიციპალიტეტის** 2 სკოლაში დაინერგა, 2021-ში კი, დამატებით, 3 საჯარო სკოლაში. იმავე პროგრამით, 2018-2019 წლებში, სკოლებში **რადიოტექნოლოგიებითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით აღჭურვის** 50 პროექტი განხორციელდა. 2020 წლისთვის, **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** ჩართულია 21 სკოლის (57 მიმართულება) 766 მოსწავლე. **2013-2021 წლებში,** საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 48 პროექტი განხორციელდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით,** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 40 პროექტი განხორციელდა. ინფრასტრუქტურულად ადაპტირებულია 12 საჯარო სკოლა, 4 სკოლა აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. მათ შორის: **2013 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 საჯარო სკოლას (ტყიბულის №1, №4, №5, №6, საწირის, ხრესილის, ორპირის, გელათის, ჯვარისის, სოჩხეთის, მუხურის №1, ახალსოფლის, დაბაძველის), რაზეც სულ 555,6 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** განხორციელდა 2 საჯარო სკოლის (სოჩხეთისა და დაბაძველის) ნაწილობრივი რეაბილიტაცია, ტყიბულის №1 საჯარო სკოლის სამედიცინო ოთახის მოწყობა და საწირის საჯარო სკოლის სპორტული მოედნის მოწყობა, რაზეც სულ 287,8 ათასი ლარი დაიხარჯა. **2015 წელს** ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 საჯარო სკოლას (ჯვარისას, ოჯოლის, გურნის, გელათისა და ციხიის); 2 სკოლაში (ტყიბულის №6 და ორპირის) მოეწყო სამედიცინო ოთახები (სულ 567,4 ათასი ლარი). **2016 წელს** ტყიბულის №6 საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია 36,2 ათასი ლარით დაფინანსდა. **2017 წელს** განხორციელდა ქ. ტყიბულის №5 (245, 6 ათასი ლარი), სოფ. ხრესილის (64, 9 ათასი ლარი), საწირის (199, 5 ათასი ლარი), ქ. ტყიბულის №6 (114,8 ათასი ლარი) საჯარო სკოლების რეაბილიტაცია; დაფინანსდა ტყიბულის №1 (8,4 ათასი ლარი) და №6 (13 ათასი ლარი) ნაწილობრივი რეაბილიტაცია და საჯარო სკოლების უსაფრთხოების კამერებით აღჭურვა. **2018 წელს** ქ. ტყიბულის №6 საჯარო სკოლაში მოეწყო გათბობის სისტემა (109,9 ათასი ლარი), დაფინანსდა სოფ. მუხურის საჯარო სკოლის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება (პირველი ეტაპი – 150 ათასი ლარი); **2018 წელს,** ქ. ტყიბულის №5, სოფ. მუხურის №1 და №2, საწირის, ორპირის, კურსების, ჯვარისის, სოჩხეთის, ახალსოფლისა და ძიროვნის საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე 219,3 ათასი ლარი დაიხარჯა, ქ. ტყიბულის №6 საჯარო სკოლის გათბობის სისტემებით აღჭურვაზე – 109, 9 ათასი ლარი;

2019 წელს, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 14 პროექტი განხორციელდა (ქ. ტყუბულის №5, ახალსოფლისა და გელათის საჯარო სკოლებში სახურავის, კურსების საჯარო სკოლაში სანიაღვრე არხის, საწირისა და ტყიბულის №1 საჯარო სკოლაში გათბობის სისტემების, ორპირისა და მუხურის საჯარო სკოლების სახურავისა და იატაკების რეაბილიტაცია, ტყიბულის №6, სოჩხეთისა და ძიროვნის საჯარო სკოლებში სველი წერტილების მოწყობა, ჯვარისის საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვა), რაზეც, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ჯამში, 366,6 ათასი ლარი დაიხარჯა.

2020 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 11 პროექტი დაფინანსდა (მათ შორის, 10 – სველი წერტილების მოწყობის პროექტი), რისთვისაც, ჯამში, 438,8 ათასი ლარი დაიხარჯა. სველი წერტილები მოეწყო ტყიბულის №1, №4, №6, სოფელ ორპირის, ცუცხვათის, კურსების, გელათის, გურნის, ახალსოფლის, დაბაძვლის საჯარო სკოლებში, იატაკი მოეწყო ტყიბულის №5 საჯარო სკოლაში. **2020-2021 წლებში** დასრულდა ქ. ტყიბულის №1, №4, №5, №6 და სოფლების: ახალსოფლის, დაბაძვლის, ორპირის, გელათის, კურსების საჯარო სკოლების ნაწილობრივი მცირე სარეაბილიტაციო პროექტები. დასრულდა სოფელ მუხურის საჯარო სკოლის მშენებლობა (506,9 ათასი ლარი). ამჟამად **მიმდინარეობს** სოფელ გურნის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და ქ. ტყიბულის №2 (150 მოსწავლეზე გათვლილი) საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რასაც 2 მლნ 500 ათასი ლარი მოხმარდება.

პროფესიული განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან არსებული კოლეჯი.** 2013-2020 წლებში პროფესიულ პროგრამებში, ჯამში, 3240 სტუდენტი იყო ჩართული. იმავე პერიოდში კოლეჯმა, 1648 სპეციალისტი მოამზადა. ამჟამად პროფესიულ სასწავლებელს 40 აკადემიური და ადმინისტრაციული კადრი ემსახურება.

2021 წელს კოლეჯი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას – მღებავი, სამთო ტექნიკოსი, მყარი წიაღისეულის გამდიდრების ტექნოლოგიის სპეციალისტი, სამთო ელექტრომექანიკოსი, ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა და მებათქაშე.

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, 2019-2020 წლებში, მუნიციპალიტეტის სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით, 9 პროექტი განხორციელდა.

2014-2020 წლებში, საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების მიმართულებით, მუნიციპალიტეტში 47 სპეციალისტი მომზადდა.

უმაღლესი განათლება

ტყიბულში ფუნქციონირებს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი. ინსტიტუტში სულ 78 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება (41 – საგნობრივი, 37 – მოდულური).

2013-2020 წლებში, ინსტიტუტში, ჯამში, 1833 სტუდენტი ჩაირიცხა. პროფესიულ – საგანმანათლებლო პროგრამებში, სულ, 3452 სტუდენტი იყო ჩართული. იმავე პერიოდში, ინსტიტუტს 1658 კურსდამთავრებული ჰყავდა, რომელთა, დაახლოებით, 60% დასაქმებულია.

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2018 წლიდან დაფინანსება მოიცავს იმერეთის რეგიონის (ბაღდათი, საჩხერე, ტყიბული, წკალტუბო, ჭიათურა ხარაგაული და ხონი) მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს იმერეთის რეგიონიდან დაფინანსდა 12 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წელს – 12 სტუდენტი. 2020-2021 სასწავლო წელს – 12 სტუდენტი.

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომ სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, 2021-2022 წლებში დაგეგმილია: ტყიბულის №3 საბავშვო ბაღის მთლიანი შენობის სრული რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა; ძმუისის საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულო ბლოკისა და სანიტარული კვანძების რემონტი (50 ათასი ლარი); ტყიბულის №1, №2 და №3 საბავშვო ბაღების ეზოს განაშენიანება და კეთილმოწყობა;
- 2022– 2024 წლებში დაგეგმილია: ახალსოფლის საბავშვო ბაგა-ბაღის დემონტაჟი და ახლი შენობის მშენებლობა (400 ათასი ლარი); სოფ. ხრესილის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია (200 ათასი ლარი), სოფ. ორპირის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია (400 ათასი ლარი), სოფ. კურსების საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი (200 ათასი ლარი); სოფ. ცუცხვათის საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია (200 ათასი ლარი), სოფ. ძმუისის ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (50 ათასი ლარი); ახალი საბავშვო ბაღის მოწყობა სოფ. მუხურში (86, 9 ათასი ლარი);
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ტყიბულში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2022 წელს უნდა დასრულდეს ქ. ტყიბულის №7 საჯარო სკოლის მშენებლობა (3 მილიონ 713,8 ლარი); 2022-2024 წლებში დაგეგმილია: სოფელ მუხურის №1, საწირის, ჯვარისის, სოჩხეთის, ძიროვნის, ციხიას, ძმუისის, ხრესილის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია;
- 2023 წლიდან დაგეგმილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტთან არსებული კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, Ს�პᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული კულტურის დაწესებულებები: მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, №1 საბავშვო ბიბლიოთეკა, №2 საბავშვო ბიბლიოთეკა, №3 ახალგაზრდობის ბიბლიოთეკა, №5 საქალაქო ბიბლიოთეკა, 15 სასოფლო ბიბლიოთეკა (საწირის №25, ორპირის, ჭყეპის, ცუცხვათის, მუხურის №16, მუხურის №18, გურნის №10, სოჩხეთის №30, ხრესილის №34, კურსების №14, გელათის №13, ციხიის №11, ჯვარისას №38, დაბაძვლისა და ძუყნურის (ბუეთის) №36 ბიბლიოთეკები), ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრი, ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა, მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლა, ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე. 2018 წელს, რეორგანიზაციის შემდეგ, მოხდა კულტურის სფეროში დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შერწყმა და დღეისათვის ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურული ობიექტების გაერთიანება“ (სოფ. საწირის კულტურის სახლი, სოფლების – ცუცხვათი, გურნი, სოჩხეთი, ძმუისის სასოფლო კლუბები; შოთა რუსთაველის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე).

2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს კულტურის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 665,8 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის ანალოგიური მაჩვენებელი კი 471, 9 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართება შეხვედრები ღვაწლმოსილ ადამიანებთან, ეწყობა გამოფენები (მხატვართა, მეშახტეთა დღისადმი მიძღვნილი და სხვ.), იმართება სპექტაკლები, შემოქმედებითი კონფერენციები, კონცერტები, პოეზიის საღამოები, კონფერენციები, ხსოვნის საღამოები, თეატრალიზებული მსვლელობები, მნიშვნელოვანი თარიღებისა და თემებისადმი მიძღვნილი საღამოები, ლექცია-სემინარები და სხვა ღონისძიებები.

2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის:

2014-2015 წლები – მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ძუყნურში ემანუელ აფხაიძის სახელობის სახლ-მუზეუმის შეკეთების სამუშაოები, მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის საკონცერტო დარბაზის, ა(ა)იპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრის“ (კულტურის ცენტრი) სახურავის, მაყვალა ქასრაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლის სანიტარული კვანძის რემონტი, რაზეც სულ 153,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

2014 წელს – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, განხორციელდა გელათის სამონასტრო კომპლექსის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის დავითის კარიბჭე, აღმოსავლეთის კედლის დაცვითი სამუშაოები, ბაქნისა და კიბის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (39,9 ათასი ლარი).

2016 წელს – ქალაქი ტყიბულის კულტურის ცენტრის სახურავის რეაბილიტაციას 95,6 ათასი ლარი მოხმარდა.

2017 წელს – კულტურის ცენტრის სახურავის რეაბილიტაციაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 200 ათასი ლარი დაიხარჯა.

2018 წელს – სოფელ ორპირის კულტურის ცენტრის სახურავის რეაბილიტაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან 70 ათასი ლარი მოხმარდა.

2015-2017 წლებში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ), – გელათის მონასტრის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოებზე, 1 მლნ 117,8 ათასი ლარი დაიხარჯა, გელათის მონასტერთან კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობაზე კი, 2014-2017 წლებში, 1 მლნ 186,4 ათასი ლარი; **2017-2019 წლებში** – გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლისა და სადრენაჟე სისტემის რეაბილიტაციას 1 მლნ 342,7 ათასი ლარი მოხმარდა, **2020 წელს –** მონასტერთან მისასვლელი გზისა და საყრდენი კედლის რეაბილიტაცია 1 მლნ 653,8 ათასი ლარით დაფინანსდა.

2018 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, განხორციელდა გელათის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიისა და სამრეკლოს სარეაბილიტაციო სამუშაოები (200 ათასი ლარი).

პროგრამით „მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა“, 2017 წელს, პოლონეთის ქალაქ კრაკოვში მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41-ე სესიაზე, გელათის მონასტერი დამოუკიდებელი ძეგლის სტატუსით დაბრუნდა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.

2018 წელს – განხორციელდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სახურავის დამჭერების სრული რეაბილიტაცია, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 52,8 ათასი ლარი მოხმარდა.

2018-2019 წლებში – მოწამეთას სამონასტრო კომპლექსში მოეწყო ვიზიტორთა ცენტრი და ტურისტული ბილიკები, რაზეც 1 მლნ 488,7 ათასი ლარი დაიხარჯა (რგპფ); იმავე წელს, გელათის სამონასტრო კომპლექსში ვიზიტორთა ცენტრისა და პარკინგის მოწყობასა და დავითის წყაროს რესტავრაციას – 1 მლნ 500 ათასი ლარი მოხმარდა.

2019 წელს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, გელათის სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 200 ათასი ლარი დახარჯა.

2020 წელს – გელათის სამონასტრო კომპლექსის გალავნის დასავლეთის ცენტრალური მონაკვეთის ჩამონგრეული ნაწილის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე – 105,4 ათასი ლარი. კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური უბნის კონსერვაციის, კომპლექსში შემავალი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გადახურვაზე დროებითი წყალამრიდი სისტემისა და აღმოსავლეთ კარიბჭეში უსაფრთხო გასასვლელის მოწყობის სამუშაოებს კი, **2021 წელს,** 53 ათასი ლარი მოხმარდა.

2020 წელს ქ. ტყიბულში ახალი ცენტრალური ბიბლიოთეკა გაიხსნა (65 ათასი ლარი); **მიმდინარეობს და 2021 წელს დასრულდება,** ხრესილის თემის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ ახალდაბაში. მზადდება ქორეოგრაფიული სტუდიის იატაკის სარეაბილიტაციო პროექტის სატენდერო დოკუმენტაცია (10,5 ათასი ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტი).

2019 წელს, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ტყიბულის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტები: **„მოდერნის სტილის არქიტექტურული მემკვიდრეობის კვლევა საქართველოში – გამოვლენა, აღრიცხვა და შესწავლა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 19,7 ათასი ლარი) და **„ინდუსტრიული მემკვიდრეობის ქართული გზა“** (პროექტის საერთო ბიუჯეტი – 22,3 ათასი ლარი). ტყიბულის მუნიციპალიტეტს ფარავს კულტურული მარშრუტი – **„ალექსანდრე დიუმას კვალდაკვალ”** რომელიც, თავის მხრივ, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

Ს�პᲝᲠᲢᲘ

ტყიბულში, 2017 წლამდე, ფუნქციონირებდა, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ტყიბულის საფეხბურთო სკოლა, ა(ა)იპ ტყიბული მუნიციპალიტეტის რაგბის სკოლა, ა(ა)იპ ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ტყიბული” და ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი „ტყიბული”. 2018 წელს, რეორგანიზაციის შემდეგ, სპორტის სფეროში დაფუძნებული ა(ა)იპ-ები გაერთიანდა და დღეს ფუნქციონირებს ა(ა)იპ „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი“.

2013 წელთან შედარებით, გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სპორტის მიმართულებით მუნიციპალიტეტის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 1 მლნ 469,5 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის ანალოგიური მაჩვენებელი კი 430,8 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, რაგბი, კრივი, ჭადრაკი, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, სამბო, კალათბურთი, შიდოკანი და კუნგ-ფუ.

მუნიციპალიტეტის სპორტსმენები წარმატებით მონაწილეობენ: იმერეთის ჩემპიონატებში, სახელგანთქმულ სპორტსმენებისადმი მიძღვნილ ტურნირებში (ფეხბურთი); დასავლეთ საქართველოს მოსწავლეთა სარაგბო ფესტივალსა და საქართველოს პირველობებზე “ბ” ლიგის გუნდებს შორის (რაგბი); საერთაშორისო, რესპუბლიკურ და რეგიონულ ტურნირებში (კრივი, ძიუდო, ქართულ ჭიდაობა, სამბო, შიდოკანი, კუნგ-ფუ, კალათბურთი).

2014-2021 წლებში, განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის: ტყიბულის

მართლწესრიგი

სპორტის სასახლის რეაბილიტაცია (2014-2017 წლები, 2,5 მილიონი ლარი); ტყიბულის საცურაო აუზის რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა (2014-2016 წლები, 316,2 ათასი ლარი), სოფელ საწირეში სკოლის ეზოში მოეწყო მაღალი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ სპორტულ მოედნებს.

2020 წელს – დასრულდა ტყიბულის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია, რაზეც რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან 869 ათასი ლარი დაიხარჯა.

2013-2016 წლებში სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (დაიხარჯა 13,3 ათასი ლარი). სამინისტრომ მუნიციპალიტეტისთვის სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (დაიხარჯა 5,4 ათასი ლარი).

2017 წელს – ტყიბულის სპორტის სასახლე სპორტული ინვენტარით აღიჭურვა (73,8 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა საფეხბურთო გუნდის „მეშახტე" ბაზას (72,6 ათასი ლარი).

2020 წელს – გარესავარჯიშო მოწყობილობები დამონდაჟდა ქ. ტყიბულში – 50 ათასი ლარი.

მიმდინარეობს: ქ. ტყიბულში, დუმბაძის ქუჩაზე, მინი სპორტული მოედნის მოსაწყობი სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება – პროექტს 60,9 ათასი ლარით დააფინანსებს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი; ქ. ტყიბულში, ახობაძის ქუჩაზე, მინი სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო პროექტის სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება – პროექტი ადგილობეივი ბიუჯეტიდან 32 ათასი ლარით დაფინანსდება.

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდული მიმართულებით სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა: „საქართველოს თასი ლაშქრობაში" (მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); **„მოხალისეობის განვითარების პროგრამა"** (რეგიონის მასშტაბით 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ ა(ა)იპ **„სამოქალაქო უფლებებისა და განათლების ცენტრმა"** განახორციელა პროექტი **„ახალგაზრდული ცენტრი – მომავალი თაობის დასაქმებისა და თვითრეალიზების შანსი"** (დაიხარჯა 2,8 ათასი ლარი). პროექტის მიზნი იყო ორპირსა და მის მეზობელ თემებში (ცუცხვათი, კურსები, ხრესილი, ჯვარისა, გურნა, სოჩხეთი) მცხოვრებიახალგაზრდების გააქტიურება, არაფორმალური განათლების გზით ახალი უნარ-ჩვევების შეძენა, შრომით ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ახალგაზრდებში სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება და მათი ჩართვა სათემო პრობლემების იდენტიფიცირებასა და ადვოკატირებაში.

2024 წლამდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ტყიბულის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია სამხატვრო გალერეის სრული რეაბილიტაცია – 50 ათასი ლარი;
- დასრულდება ხრესილის თემის ეკლესიის რეაბილიტაცია სოფელ ახალდაბაში;
- 2022-2025 წლებში, გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია/გადაუდებელ სამუშაოებს 700 ათასი ლარი მოხმარდება. სამუშაოებს კულტურის სამინისტრო (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო) დააფინასებს;
- განხორციელდება ტყიბულის კულტურის ცენტრის შენობისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაცია;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ქ. ტყიბულის ცენტრალური სტადიონის სრულ რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე 10 მლნ ლარი დაიხარჯება; გამოცხადებულია ტენდერი ქ. ტყიბულში, აფხაიძის ქუჩაზე და სოფელ სამტრედიაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაციაზე. პროექტის ღირებულება 95,7 ათასი ლარია, აქედან 90,9 ათასი ლარი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან;
- 2022-2023 წლებში გარე სავარჯიშო მოწყობილობები მოეწყობა სოფლებში: საწირე და ორპირი, ხრესილი და კურსები (60 ათასი ლარი);
- დაიწყება მუნიციპალიტეტის სოფლებში სპორტული მინიმოედნების რეაბილიტაციის მომდევნო ეტაპი, რისთვისაც 150 ათასი ლარი დაიხარჯება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ 5 სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში. 2017-2020 წლებში, კრიმინოგენური მდგომარეობა მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 6 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 5, ანუ 83%, რაც გახსნის მაღალი მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 1-3 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი არსებითი ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების" კონცეფციის** შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ **გაღრმავდება კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

პრობაციონერთა სტატისტიკა

2016-2019 წ.წ., ტყიბულის მუნიციპალიტეტში, პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა წინა წლებთან შედარებით დასტაბილურდა და არსებითად აღარ იზრდება. პრობაციონერთა შორის განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევა 2020 წელს საერთოდ არ მომხდარა, ხოლო საანგარიშო პერიოდში სულ 9 ასეთი შემთხვევაა აღრიცხული.

სამომავლოდ პრობაციის სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტში დაინერგება პრობაციონერთა სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები, ასევე ხელი შეეწყობა პრობაციონერთა დასაქმებას მუნიციპალიტეტში.

მუნიციპალიტეტში მოქმედი საზოგადოებრივი ცენტრები

2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე, „ქართული ოცნების" წინასაარჩევნო პროგრამაში, საზოგადოებრივ მომსახურეობათა ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და მათი ხელმისაწვდომობისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საზოგადოებრივი ცენტრების ამოქმედება დასახელდა. **საზოგადოებრივი ცენტრი,** იუსტიციის სახლის მსგავსად, წარმოადგენს სათანადო ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეს, სადაც მოქალაქეს დასახლებიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის კომფორტულ და ხელსაყრელ გარემოში მიიღოს 200-მდე სახის სახელმწიფო, ასევე კერძო მომსახურება; ამავდროულად, საზოგადოებრივი ცენტრი განახორციელებს არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ უკვე მუნიციპალურ სერვისებსაც; მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ტერიტორიული ორგანოების აღდგენის კვალობაზე საზოგადოებრივი ცენტრი წარმატებით შეასრულებს შესაბამისი ერთეულის ადმინისტრაციის, აგრეთვე მასთან არსებული სათემო საბჭოს თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ოფისის ფუნქციას.

იმ მუნიციპალიტეტებს, სადაც „საზოგადოებრივი ცენტრები" ფუნქციონირებს, 2019 წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა. ამოქმედდა და ეფექტიანად მუშაობს 2 საზოგადოებრივი ცენტრი: ქალაქ ტყიბულში და სოფელ საწირეში.

ცხ. 1 ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017	2018	2019	2020
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები) მათ შორის, გახსნილი	1 1	0 0	0 0	1 1
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) მათ შორის, გახსნილი	0 0	0 0	1 1	0 0
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი) მათ შორის, გახსნილი	0 0	0 0	0 0	0 0
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი) მათ შორის, გახსნილი	0 0	0 0	0 0	1 1
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი) მათ შორის, გახსნილი	1 1	0 0	0 0	1 0
სულ მათ შორის გახსნილი	2 2	0 0	1 1	3 2

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ტყიბულის მუნიციპალიტეტში

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	56	60	64	63
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	1	3	3
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	1	6	2	0
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0

ჩემო ძვირფასებო!

მაქვს პატივი, ვიყო ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატი, რაც პირველეს ყოვლისა, უდიდესი პასუხისმგებლობაა.

მსურს, მადლობა გადავუხადო „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“, პასუხისმგებლიან პოლიტიკურ ძალას, რომელმაც მომცა შესაძლებლობა, ვიყო მშობლიური მხარისა და ჩემთვის საოცრად ძვირფასი ხალხის სამსახურში.

ბოლო წლების განმავლობაში, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ისე ჩვენს მუნიციპალიტეტში, არაერთი პროექტი განხორციელდა, თუმცა წინსვლასთან ერთად, ახალი გამოწვევებიც ჩნდება, მათ დასაძლევად კი კონკრეტული გეგმები და ინიციატივები გვჭირდება.

ტყიბული იმსახურებს განვითარებას, ტყიბულის მაცხოვრებლები იმსახურებენ ცხოვრების გაუმჯობესებას და დღეს, როდესაც გვაქვს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, როცა გვაქვს სწრაფი განვითარების შესაძლებლობა, ჩვენი ვალია, ეს შესაძლებლობა გამოვიყენოთ!

ჩვენი საქმიანობა იქნება ყოველდღიურ რეჟიმში, რათა გვქონდეს გამართული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა; ჩვენ განვავითარებთ განათლების, სპორტის, კულტურის, ჯანდაცვის, ტურიზმის მიმართულებებს, რათა ტყიბული გავხადოთ მიმზიდველი და ახალგაზრდობის განვითარების საუკეთესო საშუალება.

დარწმუნებული ვარ, თქვენი მხარში დგომითა და ერთობლივი ძალისხმევით, მაღალი ტემპებით განვაგრძობთ და ბოლომდე მივიყვანთ მუნიციპალიტეტის განვითარების დაწყებულ პროცესს.

ერთმანეთის თანადგომით აუცილებლად გავიმარჯვებთ! ტყიბული აუცილებლად გაიმარჯვებს!!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.